# რუსთაველი

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი * №1 (56) 29 სექტემბერი 2010 წელი *


## გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

## სტუდენტური თვითმმართველობის მილოცვა

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა ვულოცავთ ყველა პირველკურსელს სწავლის დაწყებას და ვუსურვებთ პროფესიულ საქმიანობაში დაოსტატებასა და წარმატებას.



რედიქსი

# მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმში პირველკურსელთა ფიცის დადების III ცერემონია გაიმართა

მარჯანიშვილების განახლებულ სახლ-მუზეუმში საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველკურსელებმა საზეიმო ფიცი დადეს. ეს ტრადიცია დეველოპერული კომპანია „რედიქსის“ ინიციატივით 3 წლის წინ აღდგა. წელს ცერემონია უკვე მესამედ გაიმართა (18 სექტემბერს, 15:00 საათზე ქ. ყვარელში, მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმში).

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში (იმ დროს თეატრალურ ინსტიტუტში) 80-იან წლებში შემოღებული იქნა პირველკურსელთა ფიცის დადების რიტუალი. სტუდენტები ფიცს დებდნენ, რომ ერთგულად ემსახურებოდნენ სამშობლოს და როგორც პროფესიონალები, დაიცავდნენ ქართული ეროვნული კულტურის ტრადიციებს.

ფიცის დადების ცერემონია პირველ ხანებში თელავსა და ყვარელში კოტე მარჯანიშვილის სახლის მარანში ტარდებოდა. რიტუალის დროს რომელიმე ცნობილი მოღვაწე ახალბედა სტუდენტებს სახეზე უსვამდა გრიმს, როგორც გარდასახვის სიმბოლოს.

„ჩვენი, როგორც „ფიცის დადების“ ცერემონიის ორგანიზატორების მიზანი მიღწეულია, რადგან შევძელით და ამ მივიწყებული, ულამაზესი რიტუალის ჩატარება ყოველწლიურ ტრადიციად ვაქციეთ. თეატრალური „ნათლობის“ აღდგენის შემდეგ, მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმის მარანი ყოველ შემოდგომაზე ცოცხლდება. მომავალი მსახიობების ორმა თაობამ უკვე დადო საზეიმო ფიცი. წელსაც ახალბედა სტუდენტებს გრიმის ცხებით უფროსი, გამოცდილი არტისტები დაულოცავენ შემოქმედებით გზას. ეს, მართლაც, განსაკუთრებული მოვლენაა, დაუვიწყარი დღე პირველკურსელებისა და უფროსი ასაკის მსახიობებისთვის“ — აცხადებს კომპანია „რედიქსის“ გენერალური დირექტორი ბატონი ლაშა პაპაშვილი.

# ტრადიცია გრძელდება

თავდაპირველად იყო მოლოდინი...

— ემოციურად ვარ დატვირთული, საოცარი სურვილი მაქვს ვნახო მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმი და იქ დაცული სამუზეუმო ექსპონატები... ჯერ არ ვიცი, რა დამხვდება...

**ნინო ქავთარაძე**
**ხალხური და საეკლესიო მუსიკის სპეციალობის პირველკურსელი.**

*საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის პირველკურსელები მოლოდინში არიან. 80-იან წლებში წამოწყებული და დღეს უკვე ტრადიციად ქცეული რიტუალი კვლავაც არსებობს და ერთი მნიშვნელოვანი მისია აქვს — ყოველ წელს, ახალ თაობას ა ზიარებს სცენის მომნუსხველ სამყაროს. სტუდენტები სულ რამდენიმე წუთში გახდებიან ამ რიტუალის უშუალო მონაწილენი. ისინი დადებენ ფიცს, პირველად იცხებენ თეატრალურ გრიმს და „ჩვენი წესით“ მოინათლებიან.*

*18 სექტემბერს მარჯანიშვილების სახლ-მუ ზეუმში ის საზოგადოება შეიკრიბა, რომელთაც თეატრი აერთიანებს. ღონისძიება სახლ-მუ ზეუმის ე ზოშივე დაიწყო... პირველკურსელებს სცენიდან მიესალმნენ და სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს: ჩვენი უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა და დეველოპერული კომპანია „რედიქსის“ გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა ლაშა პაპაშვილმა. ამავე სცენა ზე წარმოდგენილი იყო „ეტიუდების ფესტივალის“ 2010 წლის ორ ნომინაციაში: საუკეთესო რეჟისურა და საუკეთესო მამაკაცის როლი, გამარჯვებული ეტიუდი „რევანში“ (რეჟისორი ნიკა ლუარსაბიშვილი, მონიწილეობდნენ: ჯეჯი სხირტლაძე და ერეკლე გეწაძე). წარმოდგენის შემდეგ ღონისძიების უცვლელმა წამყვანმა, დეველოპერული კომპანია „რედიქსის“ სა ზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა მ ზია შარაშიძემ მიმართა დამსწრე სა ზოგადოებას, რომ გადაენაცვლათ მარანში. უშუალოდ ცერემონიალის დაწყებამდე სტუდენტებს სწავლის დაწყება მიულოცეს ქართული თეატრის ყველასთვის ცნობილმა და საყვარელმა მსახიობებმა, შემდგომში ნათლიებმა: მარინა ჯანაშიამ, ნანუკა ხუსკივაძემ, გივი ბერიკაშვილმა, სოსო ლაღიძემ, რომელთაც პატარ-პატარა პროფესიული საიდუმლოებებიც გაუ ზიარეს მომავალ კოლეგებს. წლევანდელ ღონისძიება ზე სტუდენტებისათვის ფიცის დადების პატივი საქართველოს დამსახურებულ არტისტს, ბატონ ჯემალ ღაღანიძეს ხვდა წილად. ამაღელვებელ წუთებს სა ზეიმო განწყობით მოჰყვა გრიმის ცხების რიტუალი ანუ „ნათლობა“.*

*ემოციები, ცრემლი, მილოცვები - სწორედ ამ განწყობით გადაინაცვლეს სტუდენტებმა და მოწვეულმა სტუმრებმა ე ზოში, სადაც ჭიქა ღვინის თანხლებით უ ზიარებდნენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს.*

— ყვარელში ჩასვლისთანავე მივხვდი, რომ სულ სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. აქ ძალიან ბევრი ჩემთვის საყვარელი ადამიანი იყო შეკრებილი და წილად მხვდა ბედნიერება, დამედო თეატრალური საზოგადოების ტრადიციული ფიცი. ამ ადამიანებს რომ ვუყურებდი, გავიფიქრე, ბედნიერი ვარ, რომ ამ დიდი და ლამაზი ოჯახის წევრი გავხდი...

**ნინო პაიჭაძე**
**ქორეოგრაფიული სპეციალობის პირველკურსელი.**

— ჩემთვის ეს დღე საოცრად ლამაზი, ემოციებით აღსავსე და უჩვეულო იყო. დაუვიწყარი წუთები განვიცადე ფიცის დადებისა და „ნათლობის“ დროს. ასე მგონია, რომ ირგვლივ ის ხალხია, რომელიც უკვე მიყვარს.

**ანა დალაქიშვილი**
**ქორეოგრაფიული სპეციალობის პირველკურსელი.**

— აღმოჩნდა, რომ ეს იყო დღე, რომელმაც ჩემში დაბადა ახალი ემოცია. დღეს გავიგე „თეატრალურის“ არსი და მივხვდი, რომ ჩემი ადგილი აქ არის. ძალიან გამიხარდა, რომ შევხვდი ადამიანებს, რომლებთანაც მომიწევეს საყვარელი საქმის კეთება.

**პაპუნა იმედაძე**
**ქორეოგრაფიული სპეციალობის პირველკურსელი**

— თავიდანვე ვგრძნობდი, რომ ეს განსხვავებული დღე იქნებოდა ჩემს ცხოვრებაში და მნიშვნელოვანი ნაბიჯი უნდა გადამედგა. როდესაც ფეხი დავადგი ჩემი წინაპრის მიწაზე, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ ერთხელ აქ უკვე ვიყავი. სამუზეუმო ექსპონატების: აფიშების, დეკორაციების, კოსტიუმების, ესკიზების, სურათების და ა.შ. დათვალიერებისას მეგონა, თითქოს მის სულში ჩავიხედე. ნელ-ნელა ახლოვდებოდა ჩვენი ნათლობის დრო და გული უფრო და უფრო გამალებით ძგერდა. აი, უკვე მარანში ვართ, მსახიობებმა გზა დაგვილოცეს და ფიციც დავდეთ. „ვფიცავ, ვფიცავ, ვფიცავ“, რომ არასოდეს დავიხევ უკან და ყოველთვის ვივლი წინ.

**თეკლა მარჯანიშვილი**
**დრამისა და კინოს სამსახიობო სპეციალობის პირველკურსელი**

— საზეიმო ცერემონიალის დაწყებისთანავე, ფიცის დადებისა და გრიმის ცხების დროს გული ამითრთოლდა, სისხლი ამიდუღდა, კანის ქვეშ უამრავი ჭიანჭველა ვიგრძენი. ყველაფერი საოცრად ამაღელვებელი იყო, რაღაც ისეთი, რაც არასოდეს მიგრძვნია და რასაც, ალბათ, ვერასდროს ვიგრძნობ...

**არჩილ მაკალათია**
**დრამისა და კინოს სამსახიობო სპეციალობის პირველკურსელი**

— ჩასვლისთანავე, ჩემი ყურადღება მარჯანიშვილების სახლ-მუზეუმის ეზოში აგებულმა სცენამ მიიპყრო, სადაც მოგვიანებით თეატრალური ეტიუდი ვნახეთ; შემდეგ მარანში გადავინაცვლეთ, სადაც ბუმბერაზი მსახიობების რჩევა-დარიგებები მოვისმინეთ. ფიცის დადების შემდეგ სიმბოლურ რიტუალს, გრიმის ცხებას, სახალისო თეატრალური მუსიკა აფორმებდა და ჩვენი „ნათლიები“ ყველასათვის საყვარელი მსახიობები იყვნენ. ვფიქრობ, ამ ტრადიციამ გულგრილი არავინ დატოვა.

**ნიკოლოზ ჩიკვაიძე**
**დრამის რეჟისურის სპეციალობის პირველკურსელი**

*მოხარულები ვართ, რომ ამგვარი ტრადიცია გრძელდება, რასაც დეველოპერული კომპანია „რედიქსი“ უ ზრუნველყოფს. პროექტის განხორციელებაში ასევე დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტურ თვითმმართველობასა და ადმინისტრაციას. იმედი გვაქვს, რომ პროექტის უმთავრესი მი ზანი წელსაც განხორციელდა და სტუდენტები მართლაც გაია ზრებენ ამ ტრადიციის, სიმბოლური რიტუალის, მნიშვნელობას. წარმატებებს ვუსურვებ ყველა პირველკურსელს პროფესიულ საქმიანობასა და წინსვლაში.*

**ლიკა შენგელია**
**თეატრმცოდნეობის IV კურსის სტუდენტი**

## საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი
## ბრძანება

03. 09. 2010 წელი 59/2

——————————— ქ. თბილისი № ———————————

**საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის და კინო–ტელე ფაკულტეტებზე კონკურსის საფუძველზე აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს 34-ე, 35-ე მუხლის, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების /03.09.2010 წ./, „სრული, ასოცირებული და ასისტენტ–პროფესორის აკადემიურ თანამდებობის დაკავების წესის“ საფუძველზე,

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა შესაბამისად

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

დანიშნულ იქნან აკადემიურ თანამდებობაზე 2010 წლის 03 სექტემბრის აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე, გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულები 2 წლის ვადით, 2010 წლის 13 სექტემბრიდან:

**დრამის ფაკულტეტი**

**დრამისა და კინოს მსახიობის მიმართულებით;**
**ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:**
1. მაია გაჩეჩილაძე
2. გიორგი თოდაძე
3. მანანა კვირკველია
4. სოსო ნემსაძე

**დრამის რეჟისურის მიმართულებით:**
**ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:**
1. ლევან წულაძე

**ფოლკლორისა და ტრადიციული ქართული ხელოვნების დეპარტამენტი**

**ქორეოგრაფიული ხელოვნების მიმართულებით;**
**ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:**
1. ნუგზარ ჯიქური

**სამუსიკო ხელოვნების მიმართულებით:**
**ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:**
1. ნინო სიხარულიძე

**კინო – ტელე ფაკულტეტი**

**ანიმაციური კინოს რეჟისურის მიმართულებით:**
**ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:**
1. თეიმურაზ (დათო) სიხარულიძე
2. ვლადიმერ სულაქველიძე

**ტელერეჟისორის მიმართულებით:**
**ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:**
1. ოთარ ლითანიშვილი

**კინოოპერატორის მიმართულებით:**
**ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე**:
1. მიხეილ მაღალაშვილი

**ტელეოპერატორის მიმართულებით:**
**ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:**
1. მამუკა მუჩიაშვილი

§ 2.

დანიშნულ იქნან აკადემიურ თანამდებობაზე 2010 წლის 03 სექტემბრის აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე, გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულები 1 წლის ვადით, 2010 წლის 13 სექტემბრიდან:

**დრამის ფაკულტეტი**

**დრამისა და კინოს მსახიობის მიმართულებით:**
**ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე:**
1. თინათინ კორძაძე

**ფოლკლორისა და ტრადიციული ქართული ხელოვნების დეპარტამენტი**

**ქორეოგრაფიული ხელოვნების მიმართულებით:**
**ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე:**
1. ლევან ალიაშვილი
2. ეკატერინე გელიაშვილი
3. ია ლორთქიფანიძე

**სამუსიკო ხელოვნების მიმართულებით:**
**ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე:**
1. ბადრი ტუღუში
2. მაია მიქაბერიძე

**კინო – ტელე ფაკულტეტი**

**კინორეჟისორის მიმართულებით:**
**ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე:**
1. გიორგი ხარებავა

**საოპერატორო მიმართულებით:**
**ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე:**
1. ლევან მახარაძე

1.პროფესორ–მასწავლებელთა აკადემიურ თანამდებობაზე გადაყვანის შედეგები გამოცხადდეს საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებ–გვერდზე, დაიბეჭდოს უნივერსიტეტის გაზეთში და განთავსდეს თვალსაჩინო ადგილებზე უნივერსიტეტის შენობაში.

2.აკადემიურ თანამდებობაზე გადაყვანილ ასოცირებულ და ასისტენტ–პროფესორებთან გაფორმდეს კონტრაქტები შრომის კოდექსით გათვალისწინებული წესით.

3. შრომითი კონტრაქტების გაფორმებაზე პასუხისმგებლობა დაევალოს საორგანიზაციო სამსახურს და უნივერსიტეტის იურისტს.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. № 6.

**საფუძველი: 2010 წლის 03 სექტემბრის აკადემიური საბჭოს დადგენილება.**

**რ ე ქ ტ ო რ ი პროფ. გ. მარგველაშვილი**

## საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

**21.09.2010**

§1

გამოცხადდეს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

**ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტზე:**

ა) მსოფლიო თეატრის ისტორიის მიმართულებით — სრული პროფესორის 1 ს.ე.

ბ) მსოფლიო თეატრის ისტორიის მიმართულებით — ასოცირებული პროფესორის 1 ს. ე.

გ) კულტურის მენეჯმენტის მიმართულებით — სრული პროფესორის 1 ს. ე.

**დრამის ფაკულტეტზე:**

ა) დრამისა და კინოს მსახიობის სპეციალობის მიმართულებით — ასოცირებული პროფესორის 2 ს.ე.

§ 2

საკონკურსო კომისიის მდივნად ბრძანების საფუძველზე დაინიშნოს მაია გაბუნია.

§3

საბუთების მიღება განხორციელდეს ამა წლის 22 ოქტომბრიდან 8 ნოემბრის ჩათვლით.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება საბუთების მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვისა.

**გიორგი მარგველაშვილი**

**აკადემიური საბჭოს თავჯდომარე**

## საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

**21.09.2010**

გამოცხადდეს დამატებითი მიღება სამაგისტრო და სადოქტორო აკადემიური საფეხურის შემდეგ:

**საშემსრულებლო მიმართულების სამაგისტრო პროგრამებზე:**

1. სცენოგრაფია. ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ეკატერინე კიკნაძე და მამია მალაზონია
2. სცენოგრაფიის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი). ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი თამარ ბოკუჩავა და მხატვარი-სცენოგრაფი ანნა კალატოზიშვილი
3. მუსიკალური თეატრისა და ესტრადის რეჟისორი (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი). ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი მაია გოშაძე და რეჟისორი თემურ აბაშიძე
4. კინო-ტელე პროდიუსერის ოსტატობა. ხელმძღვანელი პროფესორი დავით ჯანელიძე და ოთარ შამათავა
5. აუდიო-ვიზუალური კომუნიკაციის ტექნოლოგი. ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ელისაბედ ერისთავი
6. შემოქმედებითი პედაგოგიკა – ვოკალის პედაგოგი. ხელმძღვანელი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ჟანა თოიძე
7. დოკუმენტური კინორეჟისურისა და კინოოპერატორის ხელოვნება (თეორიისა და პრაქტიკის ანალიზი). ხელმძღვანელი სრული პროფესორი ლელა ოჩიაური და კინორეჟისორი გია ჭუბაბრია

**საშემსრულებლო მიმართულების სადოქტორო პროგრამებზე:**

1. ტელეკომუნიკაციები. ხელმძღვანელი ასოცირებული პროფესორი ელისაბედ ერისთავი
2. ვოკალის თეორია და პედაგოგიკა. ხელმძღვანელი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ჟანა თოიძე

**გიორგი მარგველაშვილი**

**აკადემიური საბჭოს თავჯდომარე**

კურიერი

# საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

**WWW.TAFU.EDU.GE**

## პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

2010 წლის 24 სექტემბერს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში (გადაცემა „კურიერი“) გავიდა სიუჟეტი: „პრობლემები თეატრალურ უნივერსიტეტში“, რომელშიც ***საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტები (სპეციალობა „აუდიო-ვიზუალური მედიაკომუნიკაცია“)*** პროტესტს გამოთქვამდნენ უნივერსიტეტის ყოფილი ასოცირებული პროფესორის, ქალბატონ მანანა ითონიშვილის თეატრალური უნივერსიტეტიდან „იძულებით“ წასვლასთან დაკავშირებით.

სიუჟეტის ბოლო რამდენიმე წამი დაეთმო უნვერსიტეტის რექტორს, პროფესორ გიორგი მარგველაშვილსაც, თუმცა, რატომღაც, მისი 8-10 წუთიანი ინტერვიუს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოხვდა ეთერში.

არ გვინდა ვიფიქროთ, რომ „რუსთავი 2“-მა შეგნებულად, ტენდენციურად და მიკერძოებულად გააშუქა აღნიშნული სიტუაცია, თუმცა, რეალობა, სამწუხაროდ ამგვარი ეჭვების საფუძველს ტოვებს. ერთი რამ ძალზე უცნაურია! კერძოდ, ის, რომ 2004 წლის შემდეგ, როცა საქართველოში მიღებულ იქნა კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“ და უმაღლეს აკადემიურ სფეროში აქტიური რეფორმა მიმდინარეობს, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა უნივერსიტეტების მასშტაბით პედაგოგთა მიგრაცია, თუმცა ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებაში პროფესორ-მასწავლებელთა მოძრაობა არასოდეს გამხდარა რომელიმე ტელეკომპანიის ყურადღების ღირსი. საინტერესოა, „რუსთავი 2“-მა ახლა ჩაუყარა საფუძველი საუნივერსიტეტო სივრცეში პედაგოგთა მიგრაციის გაშუქების ტრადიციას, თუ აღნიშნული სიუჟეტით მხოლოდ ერთჯერადად შეეხო ამ თემას?..

გვინდა საზოგადოების ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე უზუსტობაზე (რბილად რომ ვთქვათ), რაც „რუსთავი 2“-ის ეთერში გასულ სიუჟეტს ახლდა თან:

1. სიუჟეტში აღნიშნული იყო, რომ ქალბატონი მანანა ითონიშვილი თეატრალური უნივერსიტეტიდან „გააგდეს“, რაც მტკნარი სიცრუეა: ქალბატონმა მანანა ითონიშვილმა 2010 წლის 13 სექტემბერს პირადი განცხადებით (№1242/01-23 – 13.09.2010) მიმართა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორსა და აკადემიურ საბჭოს – მის მიერ აკადემიური თანამდებობის (ის გახლდათ უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი) დატოვების შესახებ, რადგანაც მან ღია და გამჭვირვალე კონკურსის წესით დაიკავა აკადემიური თანამდებობა (ასევე ასოცირებული პროფესორისა) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010 წლის 7 სექტემბერს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლებრივი რეგულაციებით - ქალბატონ მანანას (ისევე, როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფ ნებისმიერ პირს) ეკრძალება სხვა რომელიმე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ თანამდებობაზე მუშაობა. ერთადერთი, რისი უფლებაც მას აქვს, ესაა მუშაობა მოწვეული პერსონალის სტატუსით – საათობრივი ანაზღაურების წესით. ამასთან, საქართელოში მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტს შეუძლია ისარგებლოს მოწვეული პერსონალის რესურსით, მაგრამ არ აქვს უფლება, რომელიმე აკადემიური პროგრამის, მიმართულების ან ჯგუფის ხელმძღვანელის სტატუსით მოიწვიოს გარე პერსონალი. ამისთვის მას უნდა გააჩნდეს შიდა რესურსი – აკადემიური პერსონალის სახით. მიუხედავად ამისა, ქალბატონი მანანა ითონიშვილი ***დაჟინებით ითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობას მოწვეული პერსონალის სტატუსით,*** რაც ეწინააღმდეგება საქართველოში არსებულ საკანონმდებლო ბაზას: ***ამა თუ იმ სპეციალობის, პროგრამის, მიმართულებისა თუ ჯგუფის ხელმძღვანელობის უფლება აქვს მხოლოდ აკადემიურ თანამდეობაზე მყოფ პირს!***
2. სიუჟეტში ითქვა, რომ „დაზარალებული“ და „ბედის ანაბარად მიტოვებული“ სტუდენტები ორი კვირის განმავლობაში ამაოდ ეძებენ „ნუგეშს, ყურადღებასა და სამართალს“... რაც, ასევე, სიცრუეა:

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010-2011 სასწავლო წელი პირველკურსელი სტუდენტებისათვის დაიწყო 2010 წლის 20 სექტემბერს, ორშაბათს, ანუ, მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტმა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ბატონი დიმიტრი შაშკინის მიერ ხელმოწერილი ბრძანება უნივერსიტეტში პირველ კურსზე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ. სწორედ მინისტრის აღნიშნული ბრძანებისა და სტუდენტთა საუნივერსიტეტო ადმინისტრაციული რეგისტრაციის შემდგომ ეძლევა უნივერსიტეტის რექტორს უფლებამოსილება – გამოსცეს ადგილობრივი სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზეც პირს, რომელმაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ყველა წესის დაცვით (საუნივერსიტეტო შემოქმედებითი ტურები, ერთიანი ეროვნული გამოცდები) მოიპოვა წარმატება, ენიჭება უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი. აღნიშნული სიუჟეტი „რუსთავი 2“-ზე გავიდა 24 სექტემბერს, საღამოს. უნივერსიტეტში პირველკურსელთა აკადემიური კალენდარი დაიწყო 20 სექტემბერს, შესაბამისად, აქ ნახსენები „ორი კვირა“ არანაირად არ შეესაბამება რეალობას.

3. აბსოლუტური სიცრუეა ისიც, რომ სტუდენტებს სასწავლო პროცესი დაუგეგმავი და მოუწესრიგებელი დახვდათ. ***კინო-ტელე ფაკულტეტი***, რომელზეც ხორციელდება „აუდიო-ვიზუალური მედიაკომუნიკაციის“ აღნიშნული საბაკალავრო პროგრამა, განთავსებულია უნივერსიტეტის II კორპუსში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, №40-ში. ფაკულტეტის ადმინისტრაციამ სწავლის დაწყების პირველივე დღეს მიუთითა სტუდენტებს, თუ სად არის განთავსებული სასწავლო ცხრილი, რომელ სასწავლო აუდიტორიაში და როდის მიმდინარეობს ლექციები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთი საუნივერსიტეტო კურსის ლექციას „პროტესტანტი სტუდენტები“ ჯერ არ დასწრებიან.
4. რაც შეეხება სიუჟეტში გაკეთებულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ გაუქმებულია ბატონი კოტე მახარაძის სახელობის აუდიტორია, ესეც სიცრუეა. აღნიშნული აუდიტორია მდებარეობს უნივერსიტეტის I კორპუსში, რუსთაველის გამზირზე, №19-ში. მას შემდეგ, რაც კინო-ტელე ფაკულტეტი გადავიდა უნივერსიტეტის II კორპუსში, ცხადია, სასწავლო პროცესი დაიგეგმა ისე, რომ სტუდენტები ერთ კონკრეტულ მისამართზე ესწრებიან ლექციებსა და პრაქტიკულ თუ სტუდიურ მეცადინეობებს. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სრულიად სამართლიანად თვლის, რომ სტუდენტს უხერხულობას შეუქმნის დღეში რამდენიმე მისამართზე სირბილი. შესაბამისად, ***კინო-ტელე ფაკულტეტის სტუდენტებს მეცადინეობები უტარდებათ უნივერსიტეტის II კორპუსში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, №40-ში.*** ამიტომ არ არის მათ ცხრილში გათვალისწინებული I კორპუსში, რუსთაველის გამზირზე, №19-ში განთავსებული ***ბატონი კოტე მახარაძის სახელობის აუდიტორია*** (***სადაც უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის სტუდენტებს ჩაუტარდებათ „მსახიობის ოსტატობის“ მეცადინეობები***), რომლის გაუქმებაც, ვიმეორებთ, ისევე არ შეესაბამება სინამდვილეს, როგორც აღნიშნული სიუჟეტის სხვა მასალა.
5. ორიოდე სიტყვა აღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით. ეს პროგრამა, რომელიც წლების მანძილზე ატარებდა სახელწოდებას „სატელევიზიო გადაცემათა წამყვანი ჟურნალისტი“, 2006 წელს საქართველოს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მითითებით „მილევად რეჟიმში“ იქნა გადატანილი, რამდენადაც იგი არც მისანიჭებელი კვალიფიკაციითა და არც შინაარსობრივ=კონცეპტუალური თვალსაზრისით არ შეესაბამებოდა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებელ პარამეტრებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ, უშუალოდ, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დიდძალი ძალისხმევა გასწია ამ პროგრამის მოდიფიცირებისა და თანამედროვე აკადემიურ სტანდარტებთან მისი თავსებადობისათვის. არანაკლები ძალისხმევა იქნა გაწეული, რომ უნივერსიტეტს მოეპოვებინა აღნიშნულ პროგრამაზე სტუდენტთა ჩარიცხვის უფლება, რაც მხოლოდ 2010-2011 სასწავლო წლისთვის გახდა შესაძლებელი. ამასთან, სერიოზული მუშაობა ჩატარდა იმისათვისაც, რომ უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტი დაინტერესებულიყო აღნიშნული პროგრამითა და მისი განხორციელების პერსპექტივით. ყველა ამ პერიპეტიის გადალახვის შემდეგ ახალი პროგრამით გათვალისწინებული პირველი ნაკადის მიღებისთანავე, ქალბატონმა მანანა ითონიშვილმა (რომელიც მის მიერ თეატრალურ უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის გამო უნდა შესულიყო აღნიშნულ ჯგუფში ძირითადი მოდულის პედაგოგად) საკუთარი არჩევანი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სასარგებლოდ გააკეთა (რაც სრულიად გასაგებია, რამდენადაც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მას იმავე თანამდებობაზე ორჯერ მეტ ხელფასს უხდიან) და, რაც ყველაზე მთავარია, ამის შესახებ თეატრალურ უნივერსიტეტს მხოლოდ სწავლის დაწყების წინ, 13 სექტემბერს აუწყა. ეს მცირე ექსკურსი იმის სადემონსტრაციოდ, როგორ „განდევნეს“ ქალბატონი მანანა უნივერსიტეტიდან.
6. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის წესით პერსონათა არჩევას მკაცრად განსაზღვრული წესი და ვადები აქვს. ეს პროცესი, მინიმუმ, ორ თვეს მოიცავს. შესაბამისად, ქალბატონი მანანას მიერ საკუთარი ნებით დატოვებულ აკადემიურ თანამდებობაზე ღია და გამჭვირვალე კონკურსის წესით შერჩეული იქნება ღირსეული და კვალიფიციური პიროვნება, თუმცა, ვფიქრობთ, მის მიერ „დამოძღვრილ“ „პროტესტანტ სტუდენტებს“ ეს პერსპექტივა არანაირად არ ხიბლავთ. ისინი წინასწარ აპროტესტებენ ნებისმიერის მიერამ თანამდებობის დაკავებას. აქ ჩნდება ბუნებრივი კითხვა, საიდან, პირველკურსელ სტუდენტთა ამგვარი აქტიურობა და პათოსი კონკრეტული პერსონის მიმართ? მათ ხომ ჯერ არ ჰქონიათ შეხება არც უნივერსიტეტთან, არც საუნივერსიტეტო ცხოვრებასა და აკადემიურ გარემოსთან? საიდან იცნობენ და „ერთგულებენ“ ისინი ქალბატონ მანანა ითონიშვილს? როდის აქეთ უკვეთავს სტუდენტი უნივერსიტეტს, რომელ აუდიტორიაში წაეკითხოს ლექცია? კითხვები ბევრია და არაორაზროვანი პასუხებიც, თუმცა, ერთი რამ სრულიად უდავოა! დაუშვებელია, როცა სტუდენტს პირადი ამბიციებისა და სურვილების იარაღად იყენებ! არა მგონია, ქალბატონ მანანას ამგვარი რამ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტშიც მოუწონონ, სადაც პედაგოგიკასა და განათლების მეცნიერებებს განსაკუთრებული რუდუნებით ეკიდებიან.

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

საკონტაქტო პირი: თამარ ვეფხვაძე. ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი 0108, რუსთაველის გამზირი №19. ტელ., (995 32) 98 30 78. ფაქსი (995 32) 98 30 79. ელ. ფოსტა: info@tafu.edu.ge

# თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი

## წლევანდელი „კულტურული მოვლენის“ კვალდაკვალ

2009 წლის მაისში ქალაქ თბილისის მერიის მიერ დაარსებული„თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი“ ოფიციალუად გაიხსნა ავამავე წლის შემოდგომაზე (26 სექტემბერი — 18 ოქტომბერი).

აღსანიაშნავია, რომ ევროსაბჭოს მიერ, წინამდებარე პროექტი, გასული წლის„კულტურულ მოვლენად“ იქნა მოხსენიებული და საერთაშორისო კულტურული პროგრესის ხელშეწყობის, ასევე მსოფლიოში მშვიდობისა და განვითარების

ჰამლეტი.
რეჟ. ოსკარ კორშუნოვასი

მიზნით „შემდგარი“ ეს კეთილგანწყობილი, „კულტურული დიალოგი“ წელსაც ნარმატებით აგრძელებს შარშან დაწყებულ შემოქმედებით მარათონს...

***„დღეს, კულტურათა დიალოგის ეპოქაში, ყველა ფესტივალი ილტვის საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა მნიშვნელოვანი მოთამაშე გახდეს..***

***საერთაშორისო ურთიერთობები განვითარების, წინსვლის საწინდარია. ამ თვალსაზრისით, ვფიქრობ, თბილისის საერთაშორისო ფესტივალმა ისტორიული „დავალება“ უნდა შეასრულოს. ჩვენი***

სტიქსი.
რეჟ. რობერტ სტურუა

***უმთავრესი მიზანი ქართული კულტურისა და თეატრის საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირებაა“.***

***ეკატერინე მაზმიშვილი,***
***ფესტივალის დირექტორი.***

წლევანდელი ფესტივალის საზეიმო გახსნას ორგანიზატორები 29 სექტემბერს, ქართული სპექტაკლების თანამიმდევრული

ჰამლეტი.
რეჟ. ეიმუნტას ნეკროშიუსი

პროგრამით (2 ოქტომბრის ჩათვლით) გეგმავენ. 1-2 ოქტომბერს, სასტუმრო „ციტადინი“ უმასპინძლებს პროფესიონალ კრიტიკოსთა სიმპოზიუმს თემაზე: **„ბერმუდის სამკუთხედი“ თუ „იდეალური სამება“.** ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული ეს პროექტი კიდევ ერთი მცდელობაა,. ამჯერად უკვე, თეატრის პროფესიონალებს, კრიტიკოსებსა და თავად „ღია მაყურებელს“ შორის დიალოგის გამართვისა.

ქართველი მაყურებლისთვის განსაკუთრებით საინტერესო სანახაობითი მარათონი ქართული შოუ ქეისის დამთავრე-

არლეკინი, ორი ბატონის მსახური.
რეჟ. ჯორჯო სტრელერი

ბისთანავე 3 ოქტობრიდან იწყება, თანაც შექპირის „ჰამლეტის“ ოსკარას კორშუნოვასისეული ინტერპრეტირებით. შარშანდელის მსგავსად (შეგახსენებთ, რომ 2009 წლის უცხოური სპექტაკლების საფესტივალო პროგრამა ამავე რეჟისორის ამაღელვებელი სცენური დადგმის, შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ იტალიური ტემპერამენტით გაჟღენთილი სასიყვარულო თავგადასვლის„გამოცხობით“ დაიწყო) უცხოური საფესტივალო პროგრამა წელსაც შექსპირით იწყება, წელსაც დომინანტი პიესით და წელსაც დღემდე პასუხ-

დეკამერონი.
რეჟ. ლევან წულაძე

გაუცემელი კითხვებით შეჯერებული თეატრალური ტექსტის “გათამაშების“ მცდელობით...

მაშ ასე, საფესტივალო „თავგადასავალი“ იწყება...

გაზეთ „დურუჯის“ სარედაქციო კოლეგია, შეეცდება, აჰყვეს საფესტივალო რიტმს და შემდეგ ნომერში, ამჯერად უკვე ვრცელი სახით, შემოგთავაზოთ საინტერესო

როსტამი და ზოჰრაბი.
რეჟ. ბეჰრუზ ყარიბფურ

და მნიშვნელოვანი საფესტივალო ამბები...

**მარიამ იაშვილი**

# შთაბეჭდილებები და მოლოდინი

2009 წელს, თეატრალური ცხოვრების სარბიელზე, ქვეყანას მოევლინა ახალი ფესტივალი. გასული წლის 26 სექტემბრიდან 18 ოქტომბრის ჩათვლით, ჩვენი ქალაქი თეატრალურ იერუსალიმად იქცა. საქართველოს დედაქალაქმა უმასპინძლა სხვადასხვა ქვეყნის თეატრებს, მსახიობებს, რეჟისორებს. პოლონეთის, ლიტვის, თურქეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, სომხეთის, საფრანგეთის, კორეის დასებმა, ევროპა-აზიის საზღვარზე მოიყარეს თავი. კლასიკა და თანამედროვე დრამატურგია, ინოვაციური გადაწყვეტები, თვალწარმტაცი ვიზუალური ეფექტები, ყველაფერი ეს ფესტივალს დღესასწაულის ელფერს მატებდა.

ფესტივალში უხვად იყო სპექტაკლები ორიგინალური, უჩვეულო, მაგრამ მხატვრულად გამართლებული გადაწყვეტით. მაგალითად შემიძლია მოვიტანო რეჟისორ ოსკარას კორშუნოვასის სპექტაკლი „რომეო და ჯულიეტა“, ამიტ ლაჰავის — „შინელი“, იანუშ ვიშნევსკის — „ქარიშხალი“, ფილიპ ჟანტის — „ზიგმუნდის ოინები“...

„რომეო და ჯულიეტა“ შექმნის დღიდან არაერთხელ გაცოცხლებულა სხვადასხვა თეატრის სცენაზე. მისმა სცენური გამოხატვის ხერხებმა და საშუალებებმა განვითარების დიდი გზა განვლეს. ო. კორშუნოვასისეულ ინტერპრეტაციაში, მონტეგები და კაპულეტები ორ ურთიერთდაპირისპირებულ საკონდიტროს მფლობელებს წარმოადგენენ. პიესის მთელი მოქმედება დიდი ცომის მოსაზელი ქვაბის გარშემო მიმდინარეობს. მისი ავის მომასწავებელი ღრჭიალი, მინიშნებას გვაძლევს მთავარ გმირთა ტრაგიკულ ბედზე. ცოტა ექსცენტრიკა, ცოტა კომიკური გროტესკი, საყოველთაოდ ცნობილ სიყვარულის ისტორიას ახალ ფერსა და სიცოცხლეს სძენდა.

როგორც ჩანს, თეატრალურ ცხოვრებაში უფრო და უფრო აქტუალური ხდება კლასიკური ნაწარმოებების თამამი გადაკეთება. თუ ადრე ამას კლასიკის დამახინჯებად აღიქვამდნენ, დღეს ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. თეატრი იზიდავს მაყურებელს, აოცებს მას სხვადასხვა ხრიკებითა და ეფექტებით და ამასთან ერთად არ კარგავს თავის სათქმელს, იდეას. ამის ნიმუშად ზემოთ ხსენებული სპექტაკლიც საკმარისია.

თუ პოლონელებმა სცენურ გარემოდ საცხობი აირჩიეს, შვედურმა თეატრმა სცენა „რომეოსა და ჯულიეტასთვის“ როლიკებით სასრიალო სლალომად აქცია. ამ სპექტაკლის ნაწყვეტები თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტებს გვიჩვენა შვედმა თეატრმცოდნემ მარგარეტ სორენსონმა, რომელიც 2010 წლის ივნისში თბილისში იმყოფებოდა ჩვენთვის მასტერკლასების ჩასატარებლად თეატრის კრიტიკასა და თეორიაში. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ ნაწყვეტებმა. სპექტაკლის ყველა მონაწილე როლიკებით დაქროდა სცენაზე, ასრულებდნენ აკრობატულ ილეთებს. როგორც მარგარეტ სორენსონმა განგვიმარტა, ამ სპექტაკლში შვედური ცირკის აკრობატებიც იყვნენ დაკავებულნი.

ასევე ძალიან ცნობილია შექსპირის ამ ტრაგედიის მიუზიკლური გადაწყვეტა. მიუზიკლი, „რომეო და ჯულიეტა“, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იდგმება. საინტერესო იქნებოდა მისი განხორციელება ქართულ სცენაზე ქართველი მსახიობების შესრულებით.

დავუბრუნდეთ ისევ „თბილისის საერთაშორისო ფესიტივალს“. 2009 წლის სეზონზე, ა. ლაჰავის სპექტაკლში „შინელი“, გაერთიანებული იყო ორი დრამა: რეჟისორმა ნ. ვ. გოგოლის მოთხრობას დაუმატა დოქტორ ფაუსტის თემა და ამით სპექტაკლი გაამდიდრა. გარიგება მეფისტოფელთან ამჟამად შინელის დასაკუთრებაზე შედგა. რეჟისორის ჩანაფიქრი ორიგინალური, საინტერესო და მხატვრულად გამართლებული გამოვიდა.

სიახლეები ყოველთვის არ ამართლებს. ამის დასტურია ი. ვიშნევსკის სპექტაკლი „ქარიშხალი“. ამ სპექტაკლმა დიდი ინტრიგა და მოლოდინი აღძრა მაყურებელში. ყველა ელოდა შექსპირის ამ ერთ-ერთი ფანტასმაგორული კომედიის ხილვას. მაყურებელს სცენაზე ამ პიესიდან თითქმის არაფერი დახვდა. რეჟისორმა იმდენი რამ გააერთიანა ამ წარმოდგენაში, ევანგელიით დანყებული სხვადასხვა ნაწარმოებით დამთავრებული, რომ თავად დაიკარგა ამ დიდ სინთეზში.

სანახაობრივი შოკი იყო ფ. ჟანტის სპექტაკლი „ზიგმუნდის ოინები“. ეს სანახაობა უფრო შოუ იყო, ვიდრე სპექტაკლი. მასში გამოყენებულმა ვიზუალურმა მულტიმედიურმა სიმულაციებმა აღაფრთოვანა ყველა ასაკის მაყურებელი. ძნელად დასაჯერებელი იყო, რომ მხოლოდ ორ ადამიანს შეეძლო ამდენი რამის გაკეთება.

სამწუხაროდ, მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილ სპექტაკლებზე შევძელი დასწრება. ყველა ეს სპექტაკლი სრული ანშლაგით მიდიოდა და ფეხზე დასადგომი ადგილის მოძებნაც არ იყო მინცდამაინც ადვილი.

წინ თბილისის საერთაშორისო ფესტივლის 2010 წლის სეზონი გვაქვს. უცხოური სპექტაკლების პროგრამა დამაინტრიგებელია. ლიტვიდან ორი სხვადასხვა „ჰამლეტი“, სტრელერის პიკოლო თეატრიდან „ორი ბატონის მსახური“, თოჯინების თეატრი და სხვა. ოკლედ, წინ ემოციებისა და შთაბეჭდილებების დიდი პერიოდი გველოდება. სტუმრებს ჩვენც შევთავაზებთ ჩვენს საუკეთესო სპექტაკლებს.

სხვადასხვა ფესტივლის ორგანიზება, მასპინძლობა, მასში მონაწილეობა, მხოლოდ წაადგება ქართულ თეატრს. რაც უფრო მეტ უცხოურ დასთან გვექნება კავშირი, მით უფრო კარგი იქნება ჩვენი თეატრალური ხელოვნებისთვის. ჩვენ გვეცოდინება, რა პროცესები მიმდინარეობს მსოფლიოს თეატრალურ არენაზე, რა არის აქტუალური, რა ხდება გამომსახველობითი ხერხების თვალსაზრისით. გარდა ამისა უცხოელი რეჟისორები დაინტერესდებიან ქართული თეატრითა და, მსახიობებით.

წინ დიდი თეატრალური ზეიმი გველის „თბილისის საერთაშორისო ფესტივლის“ სახით.

**გურამ კოკაია**

**8 ოქტომბერს, 17:00 საათზე**

**შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, კაფე „ქიმერიონი“**

**აკაკი ვასაძის წიგნების — „მოგონებები, ფიქრები“ — გაყიდვა-პრეზენტაცია**

თბილისის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში, 8 ოქტომბერს 17:00 საათზე, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართება XX საუკუნის გამოჩენილი მსახიობის, რეჟისორის და საზოგადო მოღვაწის **აკაკი ვასაძის** წიგნების — „მოგონებები, ფიქრები“ — გაყიდვა-პრეზენტაცია (წიგნი I-II, მეორე შევსებული გამოცემა).

ეს, გახლავთ, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის განახლებული, დამხმარე სახელმძღვანელო; რომელიც, ამავე უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრში“ მომზადდა დასაბეჭდად. რედაქტორი — პროფესორი, თეატრის ისტორიკოსი და კრიტიკოსი ვასილ კიკნაძე; წიგნების შემდგენელ-რედაქტორი მაკა (მარინე) ვასაძე.

პროფესორი ვასილ კიკნაძე წინათქმაში აღნიშნავს — ნაშრომი სახელმძღვანელო დანიშნულებასთან ერთად, მრავლის მიმცემია არამხოლოდ პროფესიონალთათვის. საბჭოთა წყობილების დროს ბევრი რამ ცენზურამ ამოიღო. I ტომს დაემატა: რუსთაველის თეატრში გრიგოლ რობაქიძის „ლამარას“ დადგმის შესახებ, „ჩემი სამსახიობო გზა“ (გამოქვეყნებული 1988 წ.). საინტერესო მასალით, შეივსო II ტომიც, მათ შორის ხელნაწერებიდანაც.

ორივე განახლებულ გამოცემაში ავტორისეული სტილი დაცულია.

# საზაფხულო პროექტები

### სტუდენტური ფილმები საერთაშორისო ფესტივალებზე

ბათუმის საავტორო კინოს IV საერთაშორისო კინოფესტივალის ახალგაზრდული ფილმების კონკურსში ჩვენი უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის სტუდენტების 2 ფილმი იქნა ნაჩვენები: ვაკო კირკიტაძის მოკლემეტრაჟიანი „რეზუს უარყოფითი“ და ნათია ნიკოლაიშვილის

ანიმაცია „ამომავალი მზის ქვეყანა“.

აღსანიშნავია, რომ ფილმი „რეზუს უარყოფითი“ ასევე მიწვეულია „კინოშოკის“ მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსზე, ქალაქ ანაპაში, რომლის შემოქმედებითი ფორუმიც თანაბრად აერთიანებს რუსეთის, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა (СНГ) და ბალტიის ქვეყნებს.

თითქმის 20 წლის კინოფესტივალი უკვე კარგა ხანია, რაც ყოფილ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების მასშტაბით მეტად ავტორიტეტული კინოჩვენებების ნუსხაში მოიაზრება და კინოკრიტიკოსების მხრიდან ჟანრული მრავალფეროვნებითა და ყოველთვის საინტერესო საკონკურსო პროგრამით გამოირჩევა.

### სადიპლომო ფილმების ჩვენება

29 ივნისს საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსში კინო-ტელე ფაკულტეტის დიპლომების ღია დაცვა გაიმართა. ნაჩვენები იყო 8 სადიპლომო ნამუშევარი: 4 მხატვრული და 4 ანიმაციური ფილმი. სადიპლომო ფილმების სრულყოფილი წარმოება პროფესიონალებისა და სტუდენტების ურთიერთთანამშრომლობით შედგა.

ღონისძიების მიზანი იყო, საზოგადოებას ენახა რეჟისორთა მომავალი თაობის სტუდენტური, სადიპლომო ფილმები და თავად შეეფასებინა, ქართული კინემატოგრაფის მომავალის შესაძლებლობები და პერსპექტივები.

ამ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს და საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, განხორციელდა კიდევ ერთი საზაფხულო პროექტი, რომელიც რეგიონებში წლევანდელი 8 სადიპლომო ფილმის ჩვენებას ითვალისწინებდა. 30 ივლისიდან 4 აგვისტომდე ყველა სადიპლომო ნამუშევარი ნაჩვენები იყო წეროვანში, ბათუმში, გონიოსა და აჭარის მაღალმთიან რაიონში, ხულოში.

ჩვენებაზე დამსწრე საზოგადოება შეხვდა უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის დეკანს - რეჟისორ დავით ჯანელიძეს, ასევე კინომცოდნე - ლელა ოჩიაურს. პროექტში მონაწილეობა მიიღეს კინო-ტელე ფაკულტეტის სტუდენტებმა, ასევე მომავალი კულტურის მენეჯერებმა და კინომცოდნეებმა.

ორივე ღონისძიებაზე წინამდებარე სადიპლომო ფილმების წარმოება ეროვნული კინოცენტრის, „დუტა პროდაქშენის“, „სინეტექის“ და „დამოუკიდებელი კინო პროექტის“ მხარდაჭერით მიმდინარეობდა.

### 2010 წლის სტუდენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ამირანი“

ფესტივალ „ამირანის“ ისტორია 1978 წლის სექტემბრში დაიწყო. 1986 წლამდე იგი წელიწადში ორჯერ ტარდებოდა. ამ დროის განმავლობაში ფესტივალი გახდა საბჭოთა კავშირში და აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კინომოვლენა. ფესტივალის ჟიურიში, სხვადასხვა დროს იყვნენ ისეთი გამოჩენილი რეჟისორები, როგორებიც არიან: ოთარ იოსელიანი, მერაბ კოკოჩაშვილი, რეზო ესაძე, ლეონიდ გაიდაი, ნიკოლოზ მაშენკო, სერგეი იზრაელიანი და მრავალი სხვა.

2007 წელს უნივერსიტეტმა აღადგინა ფესტივალი და მას მერე ყოველწლიურად ატარებს ამ საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ღონისძიებას, რომელშიც მონაწილეობას იღებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კინოსკოლა.

ფესტივალის მიზანია დაინტერესოს და აქტიურად ჩართოს სტუდენტი რეჟისორები ამ ღონისძიების შემოქმედებით პროცესში: გაიცნონ კოლეგები, წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები, მიიღონ მონაწილეობა მასტერკლასებში, ვორქშოფებში, დებატებსა და დისკუსიებში.

წლევანდელი ფესტივალი ეროვნული კინოცენტრის და ღია საზოგადოების ინსტიტუტის, ხელოვნებისა და კულტურის პროგრამის დაფინანსებით და ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით ჩატარდა.

ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში შერჩევის შედეგად მოხვდა 57 ფილმი, მსოფლიოს 14 ქვეყნიდან: სამხრეთ აფრიკა, ბულგარეთი, ჩინეთი, კუბა, ესპანეთი, გერმანია, უნგრეთი, ყაზახეთი, ლიბანი, ლიტვა, პოლონეთი, პორტუგალია, უკრაინა და საქართველო.

ფესტივალის ჟიურის წევრები იყვნენ:

• **სტანისლავ სემერჯიევი** - სოფიის დრამის და კინოს უნივერსიტეტის რექტორი (ბულგარეთი), მსოფლიო კინოსკოლების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი

• რეჟისორი **მიხეილ კობახიძე**, რომელიც უკვე დიდი ხანია საფრანგეთში ცხოვრობს და მოღვაწეობს,

• **ოზგურ სეიბენი** - სტამბულის მარმარას უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის წარმომადგენელი.

• **ირინა დემეტრაძე** - კინომცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ფესტივალს ისრაელიდან საპატიო სტუმარი ჰყავდა: იერუსალიმის კინოსკოლის დირექტორი - **რენენ შორრი**.

**ფესტივალის საერთაშორისო ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში:**

**საუკეთესო ხმოვანი რიგი** - მაგნუს ვონ ჰორნი, „ექო“, პოლონეთი;

**საუკეთესო ვიზუალური რიგი** - ქრეიგ კამერონ-მაკინტოში, „შორს ჩემგან“, სამხრეთ აფრიკა;

**საუკეთესო ფილმი** - ლინა ლუზითე. „დიდებული იქნებოდა, თუმცა...“ ლიტვა; **საუკეთესო რეჟისურა** - ნიკოლას შტაინერი, „ეს მე ვარ, - ჰელმუტი“, გერმანია. **ჟიურის სპეციალური პრიზი**, წელს ორ ფილმს გადაეცა: ხუანინა მარკეს რიბეიროს „წუთები, საათები“, კუბა და სიმეონ სოკეროვის „ხუთჯერ“, ბულგარეთი.

წელს ჟიურიმ ცალკე გასცა **აღნიშვნის სიგელი**, რომელიც წილად ხვდა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს ზურა დემეტრეშვილს ფილმისთვის „ოცნება ლასკალაზე“.

ფესტივალის ფარგლებში მოეწყო სტუდენტების შეხვედრები ჟიურის წევრებთან. საფრანგეთიდან, სპეციალურად „ამირანის“ მოწვევით ჩამოსულმა რეჟისორმა, მიხეილ კობახიძემ ჩაატარა 4 საათიანი მასტერკლასი კინოწარმოებაზე; მოეწყო „სილექთის“ პრეზენტაცია, რომელსაც სოფიის დრამის და კინოს უნივერსიტეტის რექტორი, მსოფლიო კინო სკოლების ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი სტანისლავ სემერჯიევი უძღვებოდა, შედგა შეხვედრა სტამბულის მარმარას უნივერსიტეტის

კინო-ტელე ფაკულტეტის წარმომადგენელ ოზგურ სეიბენთან.

ფესტივალის საპატიო სტუმარმა იერუსალიმიდან, სემ სპიგელის კინოსა და ტელევიზიის სკოლის დირექტორმა რენენ შორრიმ თავისი კინოსკოლის 20 წლის იუბილესადმი მიძღვნილი პრეზენტაცია და საუკეთესო სადიპლომო ფილმების არასაკონკურსო ჩვენება გამართა. ბატონი რენენის ვიზიტი საქართველოში ისრაელის საელჩოს მხარდაჭერით შედგა.

ფესტივალის საკონკურსო ჩვენება 3 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა უნივერსიტეტის დახურულ კინოკლუბში, რომლის კარიც ღია იყო ყველა კინომოყვარულისთვის, ვისაც აინტერესებდა სტუდენტურ კინოში მიმდინარე პროცესები. კინოჩვენებებს საკმაოდ ბევრი სტუდენტი ესწრებოდა სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. მათი ამგვარი აქტივობა და ჩართულობა ფესტივალის კიდევ ერთი წარმატებაა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ფესტივალმა წელს უცხოელ სტუდენტებსაც უმასპინძლა. სომხეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთის და პოლონეთის კინოსკოლის სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ საფესტივალო პროგრამაში. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, გაეცნოთ თანატოლი კინოხელოვანები სხვა ქვეყნებიდან და განევითარებინათ კავშირები, რაც, ბუნებრივია, მათ სამომავლო საერთო პროექტებზეც დადებით გავლენას იქონიებს.

ფესტივალზე არასაკონკურსო ჩვენებებიც მოეწყო სომხეთის და აზერბაიჯანის სტუდენტების მიერ, ასევე ნაჩვენები იყო თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერ-



სიტეტის პროფესორის ელისო ერისთავის სამაგისტრო ჯგუფის ესპერიმენტული ფილმები.

უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, ფესტივალის გახსნასა და დახურვაზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სპეციალობების სტუდენტთა შემოქმედებაც. ფოლკლორის დეპარტამენტის სტუდენტები წარსდგნენ საინტერესო ცეკვებით და სიმღერებით, ასევე მონაწილეობდა უნივერსიტეტის სტუდენტებისგან შემდგარი ჯგუფი „ფიცვერცხლი“.

ფესტივალზე მოეწყო ძველი ქართული ფილმების აფიშების გამოფენაც, რისთვისაც მადლობას ვუხდით კინოსტუდია „ქართულ ფილმს“.

ფესტივალის პარტნიორები იყვნენ “ისი პარი“, „ნაბეღლავი“ და „ყავა პელე“, რომლებმაც თავიანთი სიმპათია მონაწილეების დაჯილდოვებით გამოავლინეს. ფესტივალის სტუმრებს 4 დღის მანძილზე „კალა ჯგუფი“ მასპინძლობდა. ფესტივალს საინფორმაციო უზრუნველყოფა გაუწიეს საინფორმაციო სააგენტოებმა: „ჯი-ეიჩ-ენი“ და „ინტერპრესნიუსი“, გაზეთებმა: „24 საათი“ და „რეზონანსი“, ასევე „პალიტრა მედიამ“.

ფესტივალის იტორია გრძელდება...

### „ყვავილების დედოფალი“

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო სტუდენტურ მეჯლისში „ყვავილების დედოფალი 2010“, რომელიც გაიმართა კლუბ „ტრიუმფის“ ეზოში (ორგანიზატორები: შ.პ.ს. „დიდუბე პლაზა“, „ბიზნეს სითი სერვისი“, კლუბი „ტრიუმფი“).

ფესტივალში მონაწილეობა მიიღო ცხრამეტმა უნივერსიტეტმა. სავალდებუ-

ლო იყო თითოეულ მათგანს თავის სახედ წარმოედგინა ყვავილი, რომელიც მიიღებდა კონკურსში მონაწილეობას. ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით და მონაწილე სტუდენტების ძალისხმევით აღნიშნულ ღონისძიებაზე საკმაოდ ორიგინალური სახით წარმოვადგინეთ „თეთრი ვარდი“. მოსამზადებელ პერიოდში აღსანიშნავი იყო სტუდენტთა აქტიურობა — მათ მიერ იყო შექმნილი ფესტივალზე წარმოდგენილი თეატრალური ეტიუდი და კოსტიუმი. „თეთრი

ვარდი“ გამოირჩეოდა თავისი დამახასიათებლი სილამაზითა და სინაზით, მას განასახიერებდა დრამის ფაკულტეტის, ფოლკლორისა და ტრადიციული ქართული ხელოვნების დეპარტამენტის ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის სპეციალობის III კურსის სტუდენტი გვანცა მეტრეველი. კოსტიუმი ეკუთვნის ამავე ფაკულტეტისა და დეპარტამენტის სანახაობათა მხატვრული გამფორმებლის სპეციალობის IV კურსის სტუდენტს მაკა ომანაშვილს, ეტიუდის რეჟისორი იყო დრამის სარეჟისორო სპეციალობის II კურსის სტუდენტი ჯაბა პაპუაშვილი, მონაწილეობდნენ თეატრისა და კინოს სამსახიობო სპეციალობის III კურსის სტუდენტები: თეკლა ჯავახაძე, ნათია კვაშალი, მარიამ ნადირაძე, ნიკა გაბელია, გიორგი მახარაძე, დავით მაცაბერიძე და თავად რეჟისორი ჯაბა პაპუაშვილი. ეტიუდი შინაარსობრივად დატვირთული და მრავალფეროვანი აღმოჩნდა.

„ვარდის“ ისტორია ვითარდება ბაღში. ოთხ სტიქიასთან გათამაშებულმა სცენამ მაყურებლის აღფრთოვანება და აპლოდისმენტები დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ ეტიუდს ჰქონდა ყველა ის კომპონენტი, რაც ჩვეულებრივად გააჩნია თეატრალურ ეტიუდს: დეკორაცია, რეკვიზიტი, განათება, მუსიკალური გაფორმება, თეატრალური კოსტიუმები და თეატრალური გრიმი. ეს ყოველივე დამსწრე საზოგადოებისათვის აღმოჩნდა საინტერესო, განსხვავებული და ორიგინალური, ვინაიდან არცერთ სხვა უნივერსიტეტს არ ჰქონდა „ვარდის“ წარმოჩენის მსგავსი სახეც კი.

საფესტივალო ნომრებს აფასებდა ჟიური. მართალია, მონაწილეთა შეფასებების დროს ჟიურიმ დაუშვა გარკვეული შეცდომები, თუმცა, ბოლოს, ჩვენი უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილმა ნომერმა ორ ნომინაციაში — საუკეთესო კომპოზიცია და ჟიურის სიმპათია — ერთხმად გაიმარჯვა.

ვფიქრობთ, ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტების მონაწილეობა მსგავსი ტიპის სტუდენტურ პროექტებში წამახალისებელი და სტიმულის მიმცემი იქნება მათთვის. სტუდენტური თვითმმართველობა ულოცავს სტუდენტებს ამ გამარჯვებას და უსურვებს შემოქმედებით წინსვლას.

**ნათია ცქვიტაია**
**სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი**

### „მოდაშია ჯანმრთელობა“

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელწმიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის

მხარდაჭერით, 31 აპრილიდან 31 მაისის ჩათვლით, ჩატარდა ერთთვიანი ანტითამბაქოს ხელშემწყობი აქცია „მოდაშია ჯანმრთელობა“. პროექტი ეკუთვნის ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის, ბიზნესისა და მართვის დეპარტამენტის II კურსის სტუდენტებს — ანა ნოზაძეს, თამთა ქაჯაიას, გვანცა აბაშიძეს, გვანცა ნარიმანიძეს, ანა სოსიაშვილის, მარი ზაქაიძეს.

თამბაქოს მოხმარება მეტად აქტუალური პრობლემაა მოზარდებში. სწორედ ამიტომ საინიციატივო ჯგუფმა გადაწყვიტა, საფუძვლიანად შეესწავლა ეს საკითხი და მასთან დაკავშირებული პრობლემები. პრობლემები არის სხვადასხვა სახის, მაგალითად: ინტერესი, თვითდამკვიდრების სურვილი, ცხოვრებისეული უსიამოვნებანი, მიმბაძველობა... ამათგან, მოზარდებში ყველაზე აქტუალურია მიმბაძველობა, რადგან მოწევა მოდაშია. ჩვენი თაობიდან უმრავლესობამ მოწევა სწორედ მოდის გამო დაიწყო. საზოგადოებაში, სადაც ჩვენი თაობის უმრავლესობას უწევს ყოფნა, უმეტესობა მოიხმარს თამბაქოს. შესაბამისად, კონკრეტული ადამიანი ექცევა გარშემომყოფთა ზეგავლენის ქვეშ და მოდა გადადის ჩვევაში.

პროექტის მიზანი იყო თეატრალურ უნივერსიტეტში თამბაქოს საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება და მისი მავნებლობის ჩვენება სტუდენტებისათვის, ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა.

აქციის მხარდამჭერები იყვნენ: ფოტოსამყარო, საქართველოს მკლავჭიდის ფედერაცია, საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია, კომპანიები: „რედბული“ , „ყაზბეგი“ და „პელე“.

პირველ ეტაპზე განხორციელდა ერთთვიანი აქცია, რომელიც დაიწყო 30 აპრილს და დამთავრდა 31 მაისს. კვირაში ერთხელ ტარდებოდა ერთი აქცია.

30 აპრილს ჩატარდა ჩვენი საორგანიზაციო ჯგუფის პრეზენტაცია, შემდეგ მოეწყო ჯიმ ჯარმუშის ფილმის ჩვენება „Coffee & Cigarette“.

5 მაისს ჩატარდა თეორიული ლექცია, რომელიც წაიკითხა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა კახა ღვინიანიძემ, შემდეგ გაიმართა ფსიქოლოგიური მოთელვა.

11 მაისს თეორიული ლექცია წაიკითხა საპატრიარქოს წარმომადგენელმა მამა ზურაბმა, შემდეგ შედგა ფსიქოლოგიური მოთელვა.

18 მაისს ჩატარდა სპორტული ღონისძიებები: ჭადრაკში, მკლავჭიდში, დარცში, მაგიდის ჩოგბურთში.

24 მაისს გაიხსნა სტუდენტური ფოტოგამოფენა, რომელიც ერთი კვირა გაგრძელდა, გამოფენა დაკავშირებული იყო პროექტის თემატიკასთან.

31 მაისს აღვნიშნეთ „თამბაქოს საწინააღმდეგო საერთაშორისო დღე“. დღის 12 საათზე გაიმართა სტუდენტური მსვლელობა ფილარმონიიდან საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსამდე, დღის ბოლოს, 18 სთ-ზე II კორპუსში გაიმართა ერთთვიანი პროექტის შემაჯამებელი დასკვნითი საღამო. დრამის ფაკულტეტის სტუდენტებმა წარმოადგინეს თეატრალური ეტიუდი, ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „როკვამ“ შეასრულა რამდენიმე ცეკვა, ქართული ხალხური სიმღერები შეასრულეს III კურსის სტუდენტებმა ბადრი თოიძის სახელოსნოდან. მონაწილეობდნენ: გიორგი ძამუკაშვილის ბენდი, ბენდი „თავისუფალი“, ვარსკვლავების აკადემიის ფინალისტი მეგი გოგიტიძე და ეთუნა გავაშელიშვილი. დასკვნით საღამოზე გამოვლინდნენ ფოტოგამოფენაში გამარჯვებული სტუდენტები: რუსლან მამედოვი და ჟანა ქურცაძე, რომლებსაც გადაეცათ ფოტოსამყაროს ერთწლიანი 20% ფასდაკლების ბარათები.

ვინაიდან საინიციატივო ჯგუფის წევრები არიან მეორე კურსის სტუდენტები, ეს საშუალებას იძლევა პროექტი იყოს მრავალჯერადი და იმედი გვაქვს, მსგავსი ტიპის აქციები მომავალშიც განხორციელდება.

პროექტის შედეგი კი იქნება ის, რომ ადამიანი ეტაპობრივად, არა ძალდატანებით, მივა იმ აზრამდე, რომ მოდაშია ჯანმრთელობა და ამით შესაძლებელია თამბაქოზე დამოკიდებულების მოდის შეცვლა.

**ლიკა შენგელია**

### „იასამნობას შემოვიარე“

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში ამავე უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით

გაიმართა პოეტ ლაშა გელაშვილის, „ბარსელის“, პოეზიის საღამო - „იასამნობას შემოვიარე“. საღამოს ჰქონდა თეატრალიზებული სახე, ახალგაზრდა პოეტმა ორმოცდაათამდე ლექსი წაიკითხა. დრამის ფაკულტეტის სტუდენტმა და მომავალმა მსახიობმა, სოფო მეძმარიაშვილმა შეასრუ-

ლა „ბარსელის“ თხოვნა და ექსპრომტად წაიკითხა პოეტის მიერ შეთავაზებული ლექსი, რამაც კიდევ უფრო უშუალო და საინტერესო ელფერი შესძინა საღამოს. ახალგაზრდა პოეტმა საღამოს დასასრულს, სიურპრიზის სახით, წაიკითხა ლექსი „თეატრალებს“, რომელიც ხელოვან ადამიანებსა და მასპინძელ უნივერსიტეტს მიუძღვნა.

**ლიკა შენგელია**

გთავაზობთ პოეტ ლაშა გელაშვილის რამდენიმე ლექსს:

### თეატრალებს

სითბო სივრცეში განამსჭვალები,
ხარობს და დარდობს ეს დედამიწა,
ხელზე უნთიათ ცეცხლის ალები,
აზრი განცდებში ვინ დაამიწა?..
ხელოვანები მთვარეს გაცრიან,
ნიჭის სფეროში ნატრიალები,
იასამნების ყვავილებს ყრიან,
მზის აივნიდან თეატრალები...

* * *

აღარ გვანაღვლებს არაფერი, ფასიც არ ვიცით,
ღმერთი კი გვიცდის... ღმერთი კი გვიცდის...
ჩვენი ცხოვრება ავხორცობაა, არც ეს არ ვიცით,
ღმერთი კი გვიცდის... ღმერთი კი გვიცდის...
ყოველი წამი რა ძვირფასია, ჯერ ჩვენ არ ვიცით,
ღმერთი კი გვიცდის... ღმერთი კი გვიცდის...
როდის გონს მოვალთ, ჯერაც არ ვიცით,
ღმერთი კი გვიცდის... ღმერთი კი გვიცდის...

* * *

შეიცან და შეიმოსე, შესაცნობი საოცრება,
მარადიულ დაიხსომე, არაფერი მეორდება,
დაობდება, ბილწად მრუში აორთქლდება,
ჩვენი სული არც არასდროს დაბერდება.
აი, ხედავ? მზე ღიმილით ორსულდება,
დაიჯერე, დროში სწრაფვა შესრულდება,
რაც დღეს არის, წუთის უკან წარსულდება,
საოცრება რაც შენშია, არ სრულდება.




**3 ოქტომბერს, 17:00 საათზე**

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში**

**ნოდარ გურაბანიძის წიგნის „მიხეილ თუმანიშვილის თეატრი“ პრეზენტაცია**

3 ოქტომბერს 17:00 საათზე მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში, გაიმართება ნოდარ გურაბანიძის წიგნის „მიხეილ თუმანიშვილის თეატრი“ პრეზენტაცია.

წიგნის გამოცემა ეძღვნება მიხეილ თუმანიშვილის 90 წლის საიუბილეო თარიღს.

წინამდებარე წიგნი საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხაში შევიდა და ამავე უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრში“ მომზადდა დასაბეჭდად ვასილ კიკნაძის რედაქტორობით.

ავტორი მკითხველს წიგნის დასაწყისშივე შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

„მართალია, მიხეილ თუმანიშვილზე მრავალი წერილი მაქვს გამოქვეყნებული, ჩემს წიგნებშიც დიდი ადგილი ეთმობა მისი სპექტაკლების ანალიზს, მაგრამ მონოგრაფიის შექმნას და გამოქვეყნებას მაინც სხვა ძალისხმევა სჭირდება და რომ არა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ბატონი გიორგი მარგველაშვილის განსაკუთრებული მხარდაჭერა, ამ საქმეს თავს ვერ მოვაბამდი. დიდ მადლობას მოვახსენებ მას ასეთი მხარდაჭერისათვის.

აქვე მადლიერებით მსურს მოვიხსენიო რეჟისორი, ქალბატონი ქეთი დოლიძე, საერთაშორისო თეატრალური ლაბორატორია-ფონდის „ტერა ინკოგნიტას“ გამგეობის თავმჯდომარე, რომლის ძალისხმევითაც გამოიცა სამტომეული: „მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს...“, „მიხეილ თუმანიშვილი ასწავლის...“, „მიხეილ თუმანიშვილი თხზავს...“ (სამივე წიგნის შესავალი წერილების ავტორია ქალბატონი ნათელა ურუშაძე). ამ წიგნებმა, მ. თუმანიშვილს სხვა წიგნებთან ერთად („სანამ რეპეტიცია დაიწყება“, „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“, „ახლა კი, ფარდა“), განუზომელი როლი ითამაშეს ჩემი მონოგრაფიის შექმნაში.

ასევე არ შემიძლია, არ დავასახელო ნ. ურუშაძის „მთავარი მოწმის ნაამბობი“ და მ. ტურიაშვილის „მიხეილ თუმანიშვილის ძიებები კინომსახიობთა თეატრში“.

# პრიზი იტალიის ფესტივალზე

***2010 წლის 1 ივლისიდან 17 აგვისტოს ჩათვლით იტალიაში ჩატარდა საერთაშორისო ახალგაზრდული კინოს ფესტივალი „CinemadaMare“ (კინო და ზღვა), სადაც ქართულ მხარეს წარმოადგენდა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის შემოქმედებითი ჯგუფი.***

***6 კვირის მანძილზე, ჯგუფი აწარმოებდა გადაღებებს, რის შედეგადაც ყოველი კვირის ბოლოს მზადდებოდა მოკლემეტრაჟიანი ფილმები. ამის პარალელურად მათ შექმნეს დოკუმენტური ფილმი იტალიაში მოგზაურობაზე.***

***ფილმმა „ისინი მოდიან“, მოიპოვა პრიზი საუკეთესო ფილმის ნომინაციაში, რომელიც ანა ჩერქეზიშვილისა და კამრან ფაიქის (პაკისტანი) ერთობლივი ნამუშევარია. ფილმზე ასევე მუშაობდნენ, ოპერატორი ლევან მახარაძე და ხმის რეჟისორი ნინო თევდორაშვილი.***

***ამ პროექტის პრეზენტაცია – ფოტო გამოფენა და ფილმების ჩვენება თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, 28 სექტემბერს, 15:00 საათზე გაიმართა.***

***ფესტივალის მიმდინარეობის შესახებ გაზეთის რედაქცია ესაუბრა ამავე უნივერსიტეტის II კურსის მაგისტრს ანა ჩერქეზიშვილს:***

- ყველაფერი დაიწყო იქიდან, რომ ჩვენი უნივერსიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის დეკანმა ბატონმა დათო ჯანელიძემ გაგვაცნო ფესტივალის პროგრამა, რამაც ჩემი დიდი დაინტერესება გამოიწვია. მალე გადამლები ჯგუფიც შედგა.

თვენახევრის განმავლობაში ფესტივალის მონაწილეები სამხრეთ იტალიის სხვადასხვა ქალაქში და, რა თქმა უნდა, მათ შორის დედაქალაქ რომშიც, ვმოგზაურობდით. ფესტივალის პროგრამა ინტენსიურ გადაღებას, ხოლო ყოველი კვირის ბოლოს კი ფილმების ჩვენებას მოითხოვდა. ეს, თავისთავად, ნიშნავდა იმას, რომ ფესტივალით გათვალისწინებულ ყველა ქალაქში მიმდინარეობდა სამუშაო პროცესი.

ფესტივალი „CinemadaMare“ ცნობილია თავისი სირთულეებით, აქ მონაწილეებისაგან ითხოვენ გარკვეულ პროფესიულ გამოცდილებას და ნებისყოფის სიმტკიცეს. ჩვენც საკმაოდ რთულ პირობებში გვიწევდა მუშაობა და ცხოვრება.ეს, ერთი მხრივ, ფრიად საინტერესო და სათავგადასავლო პროცესია, თუმცა, ამავდროულად, ძალიან დიდ გამძლეობასაც მოითხოვს. ამისათვის სპეციალური წამახალისებელი პრიზიც არის გათვალისწინებული – „ოქროს ახალგაზრდები“.

ორგანიზატორები მონაწილეებს აბინავებდნენ სკოლის შენობებში, სადაც ახალგაზრდებს თვითონ უნდა შეექმნათ თავიანთი სამუშაო და საცხოვრებელი გარემო. მაგ., ერთ-ერთი სირთულე გახლდათ ისიც, რომ მონაწილეებს ცივი შხაპის მიღება გვიწევდა. სკოლის შენობები საკმაოდ ძველი იყო, ისევე, როგორც იტალიისყველა არქიტექტურული ნაგებობა, რაც განსაკუთრებულ ხიბლს მატებდა გადაღების პროცესს.

ფესტივალზე 100-მდე კინემატოგრაფისტი მონაწილეობდა მთელი მსოფლიოდან: აშშ, რუსეთი,პაკისტანი, ჩილე, იტალია, ბრიტანეთი, მექსიკა, ბრაზილია და ა.შ. მონაწილეთა უმეტესობა აღჭურვილი იყო საკუთარი ტექნიკითა და სამონტაჟო კომპიუტერებით.

***- იტალიაში, თვენახევრის განმავლობაში, ქართველებს არ შეიძლება რაღაც კურიოზი არ შეგმთხვეოდათ.***

- ერთ ოთახში რვა ან მეტი მონაწილე ვბინავდებოდით. ხშირად მთელი ღამის განმავლობაში რომელიმე მონაწილის ფილმის მონტაჟი მიმდინარეობდა. ასეთ ვითარებაში, ლევან მახარაძემ საკლასო ოთახში ძილს ამჯობინა საკუთარი რეზიდენციის მოწყობა. პირდაპირ სკოლის ჰოლში (დერეფანში) გაშალა კარავი, სადაც მოათავსა ჩვენი აპარატურა და ასე, კამერასთან ჩახუტებულს, ეძინა ხოლმე. აღსანიშნავია ისიც, რომ საკუთარი კარვის წინ ლევანმა კედელზე პერსონალური ფოტოგამოფენაც მოაწყო, რამაც საკმაოდ დიდი მოწონება დაიმსახურა ფესტივალის მონაწილეებისგან.

ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა უამრავი საინტერესო სემინარი. მათ შორის აღსანიშნავია ცნობილი ბრიტანელი რეჟისორის კენ ლოაჩისა და ასევე ცნობილი იტალიელი მსახიობის დომენიკო ფორტუნატოს სტუმრობა.

**- მაინც, რითი გამოარჩევდით მათ სემინარებს?**

- კენ ლოაჩიმ ძირითადად მატერიალისტური კინო გააკრიტიკა და ახალგაზრდა რეჟისორებს სოციალური და დრამატული სიუჟეტებით დაინტერესებისკენ მოუწოდა. მან ისიც განაცხადა, რომ ზოგჯერ, კომერცია კლავს კინოს შემოქმედებით იდეას და როდესაც რეჟისორებს სურთ სოციალური პრობლემები წარმოაჩინონ, მათი კინო იშვიათად ფინანსდება, იმ მიზეზით, რომ არამომგებიან თემად მიიჩნევა.

დომენიკო ფორტუნატოს სემინარი ძალიან საინტერესო გახლდათ. სემინარის დაწყებამდე ფესტივალის დირექტორმა გამაფრთხილა, რომ კითხვები წინასწარ მომემზადებინა.

ჩემი კითხვები, ძირითადად, ეხებოდა იტალიის კინემატოგრაფიის დღევანდელ მდგომარეობას, იმას, თუ რატომაა კინო, ისეთი კინოკულტურის ქვეყანაში, როგორიც იტალიაა, დღეს კრიზისულ მდგომარეობაში. დომენიკომ ამაზე მიპასუხა, რომ ეს უდიდესი პრობლემაა, რადგანაც იტალია ვერ ივიწყებს წარსულს და თანამედროვე კინოს მიმართ მისი მოთხოვნები, ზოგიერთ შემთხვევაში, გულგრილია. იგი აღფრთოვანებული დარჩა ჩემი დასმული კითხვებით და სემინარის ბოლოს თავისი ფილმების კრებული მაჩუქა.

არც ამდღეს ჩაუვლია კურიოზის გარეშე. შუა სემინარზე, გაცხარებული დისკუსიის დროს, დომენიკომ მოულოდნელად გაიხედა შემოსასვლელისკენ სწორედ იმ დროს, როდესაც სემინარზე ოდნავ დაგვიანებული ლევანი შემოვიდა. მან სიცილით შესძახა: „ღმერთო, მადლობა, რომ ის აქ არის და გამახსენეო“... დომენიკომ რაღაც იტალიური სახელი და გვარი წარმოთქვა, რასაც, მონაწილეთა მხრიდან, მქუხარე ტაში მოჰყვა. ლევანმა დაბნეულობისგან თავი დაუკრა დარბაზში მსხდომთ და გაოგნებული სახით დაიკავა კუთვნილი ადგილი. როგორც აღმოჩნდა, დომენიკომ იგი ერთ ცნობილ იტალიელ ოპერატორს მიამსგავსა, რომელიც გარდაიცვალა და თურმე, ლევანს საოცრად ჰგავდა.

**- სად ხდებოდა ფილმების გადაღება და რა შეგძინათ ფესტივალმა?**

- გადაღებების წარმოება მიმდინარეობდა სამხრეთ იტალიის ულამაზეს ქალაქებში, სადაც ჩვენ, როგორც მხატვრული, ასევე დოკუმენტური ფილმების მომზადებაც შევძელით.

დოკუმენტური კინოს გადაღების გამოცდილება ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, მითუმეტეს, როდესაც გადასაღები ობიექტი იტალიაა. ნამდვილად არ არის ზედმეტი იმის თქმა, რომ იტალია ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ქვეყანაა, რაც კი მინახავს. საოცრად კოლორიტული ტიპაჟებით, მხიარული და კეთილგანწყობილი ხალხით, რომელიც სულ „ბელლას“ და „გრაციას“ გაიძახის.ქალაქის მაცხოვრებლები სიხარულით ერთვებოდნენ გადაღების პროცესში; ერთმა ოჯახმა, ქალაქ ბარში, სახლშიც კი დაგვპატიჟა და ჩვენც მათი ტრადიციული იტალიური ოჯახური გარემო გადავიღეთ.

**- თქვენთვის განსაკუთრებული დოკუმენტური თემა ხომ არ აღმოაჩინეთ?**

თბილისიდან წასულს უკვე მქონდა გარკვეული გეგმა, თუ რისი გადაღება მსურდა დოკუმენტური ფილმისთვის... მათ შორის ერთ-ერთი მთავარი თემა გახლდათ ქართველი ემიგრანტების გადაღება სამხრეთ იტალიაში, კერძოდ, ქალაქ ბარში.

ქართველი ემიგრანტების ძებნა დიდხანს არ დამჭირვებია. ბედმა გამიღიმა და ჩვენი საცხოვრებელი იმ ეკლესიის წინ აღმოჩნდა, სადაც ქართველი მრევლი დადიოდა. წმინდა ნიკოლოზის ეკლესია ძალიან ცნობილი ტაძარია ბარში, რადგან იქ წმინდა ნიკოლოზის საფლავია მოთავსებული. ეკლესია, მართალია, კათოლიკურია, თუმცა მართლმადიდებლებს წირვისათვის გამოყოფილი აქვთ კუთვნილი ტერიტორია ტაძრის შენობაში.მამაომ კურთხევა მოგვცა წირვის გადაღებისათვის.

გადაღება საკმაოდ ემოციური გამოდგა. წირვაზე მოვიდა იმ ქალაქში მცხოვრები თითქმის ყველა ქართველი ემიგრანტი. საოცრად აღელვდნენ ჩვენი დანახვისას. მე, რა თქმა უნდა, მომიწია იმის ახსნა, რომ მათ საწინააღმდეგოდ არაფერს ვიღებდი და პირიქით, - მსურდა თითოეული მათგანის პრობლემის გაზიარება.

უამრავმა ქართველმა ემიგრანტმა ქალმა გადამიშალა გული. ისაუბრეს იმაზე, თუ როგორ უჭირთ სამშობლოსგან შორს ცხოვრება. ზოგიერთ მათგანს წლების განმავლობაში შვილებიც კი არჰყავთ ნანახი. ერთ ქალბატონს სახლშიც ვეწვიეთ გადასაღებად. იტალიურმა ოჯახმა, სადაც ის მუშაობდა ძალიან თბილად მიგვიღო. მათ ჩვენთან საუბარში აღნიშნეს, რომ ძალიან მოსწონთ ქართველები, - უმეგობრდებიან კიდეც..

ჩვენთვის სიურპრიზი იყო იტალიის ცნობილ კინოსტუდია ჩინეჩიტაში სტუმრობა. მოვინახულეთ ფელინის სტუდია, სადაც ის მუშაობდა „8 1/2“-ზე და სხვა ლეგენდარულ ფილმებზე. ასევე გადავიღეთ დეკორაცია ჰოლივუდის ცნობილი ბლოგბასტერისა „კლეოპატრა“.

ვნახეთ შთამბეჭდავი დეკორაცია მარტინ სკორსეზეს ფილმისა „ნიუ-ორკის ბანდები“.

- ძალიან დიდხანს გვიწევდა გზაში ყოფნა. ზოგჯერ ქალაქები ერთმანეთისგან 12 საათის მანძილზე იყვნენ დაშორებული. მაგ., კორილიანოდან სიცილიამდე მგზავრობა დაახლოებით 6 საათი დაგვჭირდა, შემდეგ მოგვიწია, ჩვენი ავტობუსიანად, უზარმაზარი გემით გადასვლა სიცილიის კუნძულზე. გემიდან წარმტაცი სანახაობა იშლებოდა. მოვიარეთ სამხრეთ იტალიის ცნობილი ქალაქები: რომი, ბარი; სანპოტიტო, კორილიანო, სიცილია, ნოვა სირი.

მეტად სახალისო აღმოჩნდა იტალიური ქორწილის გადაღება. საქორწილო ცერემონია ქ. ბარში, წმინდა ნიკოლოზის ტაძარში ჩატარდა. მახსოვს, მე და ლევანი, როგორ ფრთხილად შევიპარეთ ეკლესიაში. იმედი გვქონდა, რომ დიდ ყურადღებას არ მივიქცევდით: სვეტებს ვეფარებოდით და ისე ვიღებდით.მაგრამ ამან დიდხანს არ გასტანა, გაიღო კარი და ამჯერად ნინო მოიპარებოდა ფეხაკრეფით, ასევე „შეუმჩნევლად“, უზარმაზარი ბუმის მიკროფონით და ჩვენ გვეძებდა. იმდენი „მოვახერხეთ“, რომ ქორწილის სტუმრები გაკვირვებული სახეებით ჩვენ გვიყურებდნენ.საბოლოოდ, გადაღების აზარტით გატაცებულნი კარდინალის წინაშე აღმოვჩნდით... უსიტყვოდ, გადმოხედვით მოგვცეს შენიშვნა... მაშინვე საქმიანი სახით ბეჯი ვაჩვენე, რითაც მივანიშნე, რომ ფესტივალის მონაწილე ვიყავი. რა თქმა უნდა, ვერცერთი იტალიელი ვერ მიხვდა, რას ვგულისხმობდი, თუმცა ამას თავისი ეფექტი მაინც ჰქონდა და ჩვენ გავაგრძელეთ გადაღება.ბოლოს ეკლესიიდან გამოსულ მეფე-პატარძალს, თეთრი მტრედები შეაგებეს. ახლადშეუღლებულნი ტრადიციისამებრ თეთრი მანქანით წავიდნენ. ჩვენ კი ვიდექით და ხელს ვუქნევდით ბედნიერი სახეებით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველების გადამღები ჯგუფი ყურადღების ეპიცენტრში იყო. ვმუშაობდით არა მხოლოდ ჩვენ ფილმებზე, არამედ გადაღებებში ვეხმარებოდით თითქმისმთელი ფესტივალის მონაწილეებს. მე ვმუშაობდი როგორც რეჟისორი და პროდიუსერი, ასევე როგორც თანა-რეჟისორი. რაც შეეხება ლევანს, ის თითქმის შეუსვენებლად, მძიმე რეჟიმით მუშაობდა, როგორც მხატვრულ, ასევე დოკუმენტურ ფილმებზე. ნინოც ძალიან იყო დატვირთული. ის ხმის რეჟისორის ფუნქციასაც ასრულებდა და ასევე ფილმებს ამონტაჟებდა.

ფესტივალზე იმდენად მეგობრული გარემო იყო, რომ კონკურენციის არავითარი აღქმა არ არსებობდა.ყოველი მათგანი ითავსებდა სხვადასხვა საქმეს: რეჟისორები მსახიობობდნენ, ხმის რეჟისორები განათებას აყენებდნენ, ოპერატორები რეჟისურის საქმეს აკეთებდნენ, მსახიობები ოპერატორობდნენ და ა.შ. ამ ფესტივალის მთავარი იდეა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ ყველა მონაწილეს გადაღებისათვის აუცილებელი სხვადასხვა პროფესიების სამუშაო გამოცდილება მიეღო.

**- რას იტყვით პრიზის შესახებ?**

ნოვა სირიში კამრან ფაიკთან ერთად ვიმუშავე მხატვრულ ფილმზე „ისინი მოდიან“. ეს იყო მისტიკური ჟანრის ფილმი. მთავარი გმირი თავისი ტრაგიკული ცხოვრების ისტორიით არის გარემოცული და ელანდება აჩრდილი, რომელიც მას არ ასვენებს.ფილმი ორ დღეში იქნა გადაღებული სიცილიაში და დამონტაჟდა ნოვა სირიში, სადაც ასევე რამდენიმე კადრის გადაღება დაემატა. ფილმს ლევანმა გაუწია ოპერატორობა, ნინომ - მონტაჟსა და ხმაზე იმუშავა. დაჯილდოების დღეს, 15 აგვისტოს, ფილმმა აიღო პრიზი „საუკეთესო ფილმის“ ნომინაციაში. ყველა მონაწილე გვილოცავდა და გულწრფელად იზიარებდა ჩვენს სიხარულს.